

სკოპინგის დასკვნა N55

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: მდინარე სუფსაზე 15 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის „სურები 2 ჰესის“ მშენებლობა და ექსპლუატაცია;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“ (ს/ნ 404485188);

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზემო სურები;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 24.06.2025

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენელის შესახებ: შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) წარმოდგენილი იქნა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მდინარე სუფსაზე 15 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის - „სურები 2 ჰესის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში.

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზემო სურების და სოფ. ტობახჩას სიახლოვეს, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე დერივაციული ტიპის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციას. საპროექტო „სურები 2 ჰესის“ მოწყობა დაგეგმილია ზღვის დონიდან 902-500 მ ნიშნულებს შორის, მდინარე სუფსას ხეობაში. საპროექტო ტერიტორიის საწყისი და საბოლოო წერტილების GPS კოორდინატებია: X-296268, Y-4645288; X-290941, Y-4647105. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო მონაკვეთიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი (სოფ. ტობახჩა) დაშორებულია დაახლოებით 130-150 მ მანძილით, ხოლო საგენერატორის შენობიდან - 230 მეტრით (სოფ. ტობახჩა).

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ, მათ შორის განხილულია ჰესის ალტერნატივები. ჰესის განთავსების ადგილმდებარეობის ალტერნატივის შერჩევა მოხდა სოციალური, გარემოსდაცვითი და ასევე ტექნიკური უპირატესობების გათვალისწინებით.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ჰესის დადგმული სიმძლავრე იქნება 15 მგვტ, ხოლო ელექტროენერჯის ჯამური გამომუშავება წლიურად შეადგენს 90.6 კვტ.სთს. მდინარის ეკოლოგიური ხარჯი იქნება 0.36 მ³/წმ. საპროექტო ჰესის ძირითადი შემადგენელი

ინფრასტრუქტურული ობიექტები იქნება: სათავე კვანძი, ჰესის შენობა, ფოლადის სადერივაციო-სადაწნეო მილსადენი და ძალური კვანძი.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, მდ. სუფსაზე ჰესის სათავე ნაგებობის მოწყობა დაგეგმილია ზღვის დონიდან 902 მ-ის ნიშნულზე (განთავსების GPS კოორდინატები: X-296206; Y-4645382). სათავე ნაგებობის შემადგენლობაში შედის: ტიროლის ტიპის წყალმიმღები, წყალსაგდები ნაგებობა, შემკრები არხი, სალექარი და საფეხურებიანი აუზის ტიპის თევზსავალი. წყალმიმღები ნაგებობა მოეწყობა მდინარის მარჯვენა სანაპიროზე.

სათავე კვანძის წყალმიმღების და სალექარის გავლის შემდეგ წყალი გადავა სადერივაციო-სადაწნეო მილსადენში. მილსადენის საერთო სიგრძე შეადგენს 6734 მეტრს, ხოლო დიამეტრი 1400 მმ-ს. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, მილსადენი დაახლოებით 1825 მ-ის მანძილზე მიუყვება ხეობას და მდინარის მარჯვენა სანაპიროს ფერდობს, ხოლო შემდეგ კვეთს (მიახლოებითი GPS კოორდინატები: X-295030; Y-4646784) მდ. სუფსას და გადადის მის მარცხენა ნაპირზე. დაახლოებით 2225 მეტრის მანძილზე მილსადენი კვლავ კვეთს (მიახლოებითი GPS კოორდინატები: X-293377; Y-4647086) მდინარეს და გადადის ისევ მის მარჯვენა მხარეს. მდინარის გადაკვეთის ადგილებში დაგეგმილია ხიდების მოწყობა. მილსადენი განთავსებული იქნება მიწის ქვეშ. Shp ფაილების მიხედვით, მილსადენის საწყისი და ბოლო წერტილების GPS კოორდინატებია (X-296146, Y-4645463; X-291164, Y-4647156).

სადერივაციო-სადაწნეო მილსადენიდან წყალი მიეწოდება ძალურ კვანძს, რომლის მოწყობა დაგეგმილია მდ. სუფსას მარჯვენა სანაპიროზე, ზღვის დონიდან 500 მ-ის ნიშნულზე. ჰესის შენობის პარამეტრებია: სიგრძე 27 მ, სიგანე 14.36 მ, სიმაღლე 12 მ. ჰესის შენობა აღჭურვილი იქნება 2 პელტონის ტიპის ტურბინით, თითოეული 7.5 მგვტ დადგმული სიმძლავრით (ჯამური სიმძლავრე 15 მგვტ). ტურბინები დაკავშირებული იქნებიან შესაბამის გამყვან არხებთან, საიდანაც წყალი დაუბრუნდება მდინარე სუფსას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის შემდგომი გენერირების მიზნით, ძალური კვანძის ტერიტორიაზე დაგეგმილია 35 კვ ძაბვის ქვესადგურის/სატრანსფორმატოროს მოწყობა, საიდანაც 8 კმ სიგრძის, 35 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის საშუალებით დაუკავშირდება ზოტი ჰესის 110/35 კვ ქვესადგურს, საიდანაც დაკავშირებული იქნება სახელმწიფო ელექტროსისტემის საერთო ქსელში. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა და ექსპლუატაცია მოხდება დამოუკიდებელი პროექტის სახით.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სათავე ნაგებობამდე 6800 მ სიგრძის მისასვლელი გზის მოწყობა, ხოლო სადაწნეო მილსადენის განთავსების არეალში გათვალისწინებულია 2 ხიდის (პკ 1+835, პკ 3+910) მშენებლობა, რომელიც გადაკვეთს მდინარე სუფსას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია ორი დროებითი სამშენებლო ბანაკები მოეწყობა. სათავე კვანძის მიმდებარედ გათვალისწინებულ სამშენებლო ბანაკში/მოედანზე განთავსებული იქნება დიზელ-გენერატორი, მცირე სახელოსნო, სახიფათო ნარჩენების საწყობი, წყლის რეზერვუარი, წყლის გამწმენდი და ოფისი. ჰესის შენობის მიმდებარედ გათვალისწინებულია ძირითადი სამშენებლო ბანაკის/მოედნის მოწყობა, სადაც განთავსებული იქნება ბეტონის ქარხანა, ლაბორატორია, ინერტული მასალების საწყობი, საოფისე ინფრასტრუქტურა, სახელოსნოები, წყლის გამწმენდი ნაგებობა, დიზელ-გენერატორი ელექტრომომარაგებისთვის, წყლის რეზერვუარი, პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტი და დაცვის ოფისი. პროექტის ფარგლებში ასევე დაგეგმილია ბეტონის კვანძის მოწყობა. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, სამშენებლო ბანაკებისა და ბეტონის კვანძის განთავსების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ - გზშ) ეტაპზე.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ჰესის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობა იქნება 18 თვე. მშენებლობის ეტაპზე დაგეგმილია დაახლოებით 70-90 ადამიანის დასაქმება. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, მშენებლობის ეტაპზე სამშენებლო ობიექტების ელექტროენერჯით მომარაგება განხორციელდება არსებული ელექტროგადამცემი ხაზიდან, ხოლო სათავე ნაგებობის ელექტროენერჯით უზრუნველყოფა - დიზელ-გენერატორების საშუალებით.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, მშენებლობის ეტაპზე განთავსებული იქნება შემოტანილი სასმელი წყლის რეზერვუარები, ხოლო სამეურნეო და ტექნიკური (მათ შორის, ბეტონის წარმოებისთვის) დანიშნულებით წყლით მომარაგება განხორციელდება მდ. სუფსიდან. ექსპლუატაციის ეტაპზე წყლის გამოყენება მოხდება სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით და ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისთვის. სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების მართვის მიზნით დაგეგმილია ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობების მოწყობა. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, წყალმომარაგებისა და წყალარინების საკითხი დაზუსტდება გზშ-ის ეტაპზე.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, „სურები 2 ჰესის“ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი გამონამუშევარი ქანების განთავსებისთვის გამოყენებული იქნება ფუჭი ქანების სანაყაროები. პროექტის ფარგლებში სანაყაროების განთავსებისთვის განხილულია ხუთი ტერიტორია. ჰესის მშენებლობისას წარმოქმნილი ფუჭი ქანების მოცულობა იქნება დაახლოებით 120000 მ³. პროექტის ფარგლებში გვირაბ(ებ)ის მოწყობა გათვალისწინებული არ არის. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სანაყაროების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება გზშ-ის ეტაპზე.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია საქმიანობის განხორციელებით გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სახეებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ჰესის მშენებლობა და ექსპლუატაცია დაკავშირებული იქნება იქთიოფაუნაზე ზემოქმედებასთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, კამერალური შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ საპროექტო მონაკვეთში 4 სახეობის თევზია გავრცელებული. წინასწარი მონაცემებით, საკვლევ არეალში წარმოდგენილია საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული სახეობა - ნაკადულის კალმახი (*Salmo labrax*). მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე იქთიოფაუნაზე მოსალოდნელი ზემოქმედება დაკავშირებული იქნება მდინარის ცალკეული უბნების ამოშრობასთან, გადასაადგილებელი გზების ბლოკირებასთან, მდინარის ამღვრევასთან, ხმაურთან, ვიბრაციასთან და სხვ. მოსალოდნელი ზემოქმედების შემცირების მიზნით გათვალისწინებულია თევზსავალი ნაგებობის მოწყობა.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საველე კვლევის და ლიტერატურული მონაცემების შესაბამისად, საპროექტო დერეფანში და მის მიმდებარედ გამოვლენილია ძუძუმწოვრების 30-ზე მეტი, ხელფრთიანების 20-მდე, ფრინველების 90-ზე მეტი, ქვეწარმავლების და ამფიბიების 20-მდე, მოლუსკების და სხვადასხვა სახის უხერხემლოების 500-ზე მეტი სახეობა. მათ შორის, საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული ძუძუმწოვრებიდან გავრცელებულია: წავი (*Lutra lutra*), ფოცხვერი (*Lynx lynx*), კავკასიური ციყვი (*Sciurus anomalus*), მურა დათვი (*Ursus arctos*) და პონტური მემინდვრია (*Clethrionomys glareolus ponticus*); ხელფრთიანებიდან - სამხრეთული ცხვირნალა (*Rhinolophus euryale*) და მეჭელის ცხვირნალა (*Rhinolophus mehelyi*); ქვეწარმავლებიდან - კავკასიური გველგესლა (*Vipera kaznakovi*), ამფიბიებიდან - კავკასიური სალამანდრა (*Mertensiella caucasica*). საკვლევ ტერიტორიაზე დაფიქსირებული, ლიტერატურულად ცნობილი ან/და მიგრაციებისას გადამფრენი საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული ფრინველთა სახეობებიდან შესაძლებელია არსებობდეს - ქორცქვიტა (*Accipiter brevipes*), ველის კაკაჩა (*Buteo rufinus*), ბეკობის არწივი (*Aquila heliaca*), კავკასიური როჭო (*Lyrurus mlotosiewiczzi*) და კასპიური შურთხი (*Tetraogallus caspius*). სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საველე კვლევის პერიოდში საკვლევ ტერიტორიაზე „წითელი ნუსხით“ დაცული ფრინველთა სახეობებიდან არცერთი სახეობა არ დაფიქსირებულა.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, პროექტის ზემოქმედების ქვეშ ექცევა ევროპის ბუნების ინფორმაციული სისტემის (European Nature Information System) 3 ტიპის ჰაბიტატი: G1 - ფართოფოთლოვანი ტყე; G1.1 - ჭალისა და სანაპირო ტყეები, სადაც დომინირებს მურყანი, არყი, ვერხვი ან ტირიფი; J - როგორც სასოფლო-სამეურნეო სავარგულები ისე სხვა ანთროპოგენიზებული ჰაბიტატები. საველე კვლევის და ლიტერატურული მონაცემების შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე წარმოდგენილია ხე-მცენარეების სხვადასხვა, მათ შორის, საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული შემდეგი სახეობები: ჩვეულებრივი წაბლი (*Castanea sativa*) და შიშველი თელადუმა (*Ulmus glabra*).

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ცნობით, საპროექტო ტერიტორიის მთლიანი, 85197 კვ.მ. ფართობიდან, „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის

ფონდის საზღვრების მიხედვით, 84060 კვ.მ. ფართობი წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს. ასევე, წარმოდგენილი ფუჭი ქანების სანაყაროსთვის შერჩეული სავარაუდო 5 ზონის კოორდინატები (X-294616, Y-4647460; X-294734, Y-4647220; X296474, Y-4645210; X295609, Y-4646210; X-293411, Y-4647070) წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო არეალის სიახლოვეს არ მდებარეობს საქართველოს დაცული ტერიტორიები და ზურმუხტის ქსელი. საპროექტო არეალი ასევე არ ხვდება ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორიის (SPA) ფარგლებში. საპროექტო დერეფანი ექცევა ფრინველებისთვის მნიშვნელოვანი ტერიტორიის (IBA) საიტების ფარგლებში, კერძოდ, აჭარა-იმერეთის ქედის (Adjara-Imereti Ridge GE015) ტერიტორიაზე.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი (სოფ. სურები) დაშორებულია დაახლოებით 3 კილომეტრით. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ცნობით, საპროექტო ტერიტორია არ ექცევა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების ინდივიდუალურ დამცავ ზონაში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით, სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში (შემდგომ - ცენტრი) გაგზავნა. ცენტრმა უზრუნველყო სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსება. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია განთავსდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში. ასევე, ცენტრის ვებგვერდსა და ფეისბუქგვერდზე. ამასთან, ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის გამომწერებს, ელ. ფოსტის მეშვეობით. საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდა გაზეთში.

საჯარო განხილვა გაიმართა 2025 წლის 17 ივლისს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზემო სურების ადმინისტრაციული ერთეულის შენობის ეზოში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, ასევე გარემოსდაცვითი კონსულტანტები და დაინტერესებული საზოგადოება. საჯარო განხილვაზე დამსწრე საზოგადოების მხრიდან, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით შენიშვნები/მოსაზრებები ეხებოდა: ჰესისა და 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის ერთიანი პროექტის სახით წარმოდგენას; პროექტის დანახარჯებისა და სარგებლის ანალიზის წარმოდგენას ენერგეტიკულ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ჭრილში; კუმულაციურ ზემოქმედებას; გარემოსდაცვითი

ხარჯის განსაზღვრას, ასევე ეკოლოგიური ხარჯის განსაზღვრის მეთოდოლოგიას; საჯარო განხილვაზე პრეზენტაციის სააგენტოს მიერ წარდგენას; კომპანიის მიერ პროექტის განხორციელებით მიღებულ სარგებელს; სახელმწიფოსა და კომპანიას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას; ეკოლოგიური ხარჯის საკმარისობას და მდინარეში წყლის რაოდენობის შემცირებით გარემოზე მოსალოდნელ ზემოქმედებას (მათ შორის, ტყეზე, არსებულ ჰაბიტატებზე, იქთიოფაუნაზე, მიკროკლიმატზე და სხვ.); მეწყრული პროცესების განვითარების რისკს; გურიაში დაცული ტერიტორიების შექმნას; პროექტის განხორციელებით ხეობის ფლორასა და ფაუნაზე მოსალოდნელ ზემოქმედებას; ცხოველთა სამიგრაციო ბილიკებს; მდინარის დათევზიანებისას ინვაზიური სახეობების გაშვებას; ეკოსისტემაში ხელოვნურ ჩარევას; ალტერნატივების განხილვას (მათ შორის, ჰესთან შედარებით მზის ელექტროსადგურის უპირატესობებს); გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის ჩართულობის მნიშვნელობას; დოკუმენტაციის დაბალ ხარისხს; მცირე ჰესების მშენებლობის შემცირების საჭიროებას; გარემოსდაცვითი მიმართულებით სახელმწიფოს მიერ არასათანადო კონტროლს/მონიტორინგს; გზის მშენებლობას. საჯარო განხილვაზე დაფიქსირებული საკითხები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები ასახულია საჯარო განხილვის ოქმში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით სააგენტოში ააიპ „მწვანე ალტერნატივის“ და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. დიდივანის, სოფ. შუასურების და სოფ. ზემო სურების მოსახლეობის მიერ წარმოდგენილი იქნა შენიშვნები და მოსაზრებები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა: მდინარეში პროექტით გათვალისწინებული ეკოლოგიური ხარჯის დატოვების საკმარისობას, მდინარის დაშრობასა და იქთიოფაუნაზე მოსალოდნელ ზემოქმედებას (თევზის გაქრობას), მიკროკლიმატის ცვლილებასა და მის ზემოქმედებას სოფლის მეურნეობასა და ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, პროექტის დანახარჯისა და სარგებლის ანალიზს, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებისა და გადამზადების საკითხს, ჰესის მშენებლობა-ექსპლუატაციით ტურისტული პოტენციალის დაკარგვას, მეწყერსაშიში უბნების არსებობას, ჰესის ადგილმდებარეობის, ტექნოლოგიის და უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივების განხილვასა და სათანადო დასაბუთებას, ენერგეტიკული ეფექტიანობისა და სოციალურ-ეკონომიკური სარგებლის ანალიზს (ენერგეტიკულად დეფიციტური პერიოდებისთვის), ჰესისა და ელექტროგადამცემი ხაზის ერთიანი პროექტის სახით წარმოდგენას, კუმულაციური ზემოქმედების ნაწილში მდინარე სუფსისა და მის შენაკადებზე დაგეგმილი ყველა არსებული და მომავალი ინფრასტრუქტურული ობიექტების, ამასთან დაგეგმილი 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის გათვალისწინებას, მდინარის ჰიდროლოგიურ რეჟიმზე და ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედებას, ეკოლოგიური ხარჯის განსაზღვრის მეთოდოლოგიას და სხვ. ასევე წარმოდგენილია მოსახლეობის ხელმოწერები, რომლის თანახმად, ისინი „სურები 2 ჰესის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის წინააღმდეგი არიან.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ იდენტიფიცირდა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. განისაზღვრა და დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის შედეგად გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. ასევე, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
3. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
4. გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ (გზშ-ის ანგარიშის მომზადების პროცესში მონაწილეთა სიაში, მითითებული უნდა იქნეს კონკრეტულად ტექსტის რომელი ნაწილი/ქვეთავი იქნა მომზადებული თითოეული ექსპერტის მიერ).

5. გზშ-ის ანგარიშში ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:

- პროექტის საჭიროების დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);
- დაგეგმილი საქმიანობის დეტალური აღწერა, საპროექტო მახასიათებლების მითითებით;
- ინფორმაცია გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის, უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის, ტექნოლოგიური ალტერნატივების, ჰიდროელექტროსადგურის ინფრასტრუქტურული ობიექტების (სათავე ნაგებობა, სადაწნეო/სადერივაციო მილსადენი, ჰესის შენობა), სამშენებლო ბანაკების/მოედნების განთავსების, სანაყაროების განთავსების, მისასვლელი გზების ალტერნატივების ანალიზი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება. **გზშ-ის ანგარიშში დეტალურად**

უნდა იქნეს დასაბუთებული ჰიდროელექტროსადგურის ინფრასტრუქტურული ობიექტების განთავსების ალტერნატივებიდან შერჩეული ადგილმდებარეობის გარემოსდაცვითი, სოციალური, ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები;

- საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის აღწერა-დახასიათება. მათ შორის, ჰიდროელექტროსადგურის შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტების განთავსების ადგილების დახასიათება, საქმიანობის განხორციელების ადგილის საკადასტრო კოდ(ებ)ისა და GPS კოორდინატების მითითებით, ჰიდროელექტროსადგურის ყველა შემადგენელი ობიექტის Shp ფაილები;
- ინფორმაცია ჰიდროელექტროსადგურის ინფრასტრუქტურის განთავსების (ზღვის დონიდან) ნიშნულების შესახებ (მათ შორის, სათავე და ძალური კვანძის საძირკვლებისა და თხემების ნიშნულები);
- ჰიდროელექტროსადგურის ერთიანი გენერალური გეგმა, მაღალი გარჩევადობით და შესაბამისი ექსპლიკაციით, სადაც დატანილი იქნება ჰიდროელექტროსადგურის შემადგენელი ყველა ინფრასტრუქტურული ობიექტი და საპროექტო ჰიდროელექტროსადგურის შემადგენელი ძირითადი ინფრასტრუქტურების დაშორება მოსახლეობიდან, კონკრეტული მანძილების მითითებით;
- ჰიდროელექტროსადგურის ფუნქციონირების ტექნოლოგიური სქემის დეტალური, თანმიმდევრული აღწერა, ჰიდროელექტროსადგურის ძირითადი ტექნიკური პარამეტრებისა და მახასიათებლების ცხრილი/პროექტის განმარტებითი ბარათი ჰესის შემადგენელი ჰიდროტექნიკური ნაგებობის აღწერით და სქემატური ნახაზებით, ჰიდროელექტროსადგურის ჯამური სიმძლავრისა და გამომუშავებული ელექტროენერჯის შესახებ ინფორმაციის მითითებით;
- სათავე კვანძის სამშენებლო სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია, სამშენებლო ეტაპების, მშენებლობის მეთოდის, დროისა და მოსალოდნელი ზემოქმედების მითითებით. ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია სათავე კვანძის მშენებლობის ეტაპზე მდინარის ბუნებრივი ჩამონადენის არიდებისთვის/მდინარის ნაკადის გადაგებისთვის გამოყენებული სამუშაოების/საშუალებების, მათ შორის, აღნიშნული მიზნით მოსაწყობი ინფრასტრუქტურის შესახებ;
- ინფორმაცია სათავე კვანძის საანგარიშო დატვირთვის შესახებ, მათ შორის, სეისმური და ჰიდრავლიკური დატვირთვის პარამეტრების მითითებით;
- სათავე კვანძზე კატასტროფულ სიტუაციებში მომატებული წყლის მართვის საკითხები (მათ შორის, ინფორმაცია ნამატი წყლის ენერჯის ჩამქრობი ჭის მოწყობის საჭიროების შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით);
- ინფორმაცია სათავე კვანძზე შეკავებული წყლის მოცულობის და შეტბორილი ადგილების ფართობის შესახებ ნორმალური, მაქსიმალური და კატასტროფული შეტბორვის ნიშნულებისა და ფართობების მითითებით. ნორმალური,

მაქსიმალური და კატასტროფული შეტბორვის უბნის კონტურები ასახული უნდა იქნეს shp ფაილებში;

- გზშ-ის ანგარიშში უნდა დასაბუთდეს შერჩეული ტიპის თევზსავალის უპირატესობა სხვა სახის თევზსავალთან შედარებით. ასევე განხილული უნდა იქნეს თევზამრიდის მოწყობის საკითხი. გზშ-ის ანგარიშში უნდა მოიცავდეს თევზსავალი და თევზამრიდი ნაგებობების დეტალურ აღწერას, სამშენებლო ნახაზებს, მისი ფუნქციონირებისა და ეფექტურობის შესახებ ინფორმაციას, მათ შორის თევზსავალის ზედა და ქვედა ნიშნულებს, პარამეტრებს, ჰიდრაულიკური გაანგარიშების შედეგებს (იმისთვის, რომ შესაძლებელი იყოს იქთიოფაუნაზე ზეგავლენის პროგნოზირება), აუზებს შორის სხვაობებს; ინფორმაციას თევზსავალ ნაგებობაში ბუნებრივ პირობებთან მიახლოებული გარემოს შექმნის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ჰიდროელექტროსადგურის სადერივაციო-სადაწნეო სისტემის შესახებ, მათ შორის, მილსადენის ტიპისა და პარამეტრების შესახებ. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია მილსადენის განთავსების პირობების შესახებ;
- ინფორმაცია გარემოს სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენისგან ჰესისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის, განსაკუთრებით, სადერივაციო-სადაწნეო მილსადენისა და ძალური კვანძის დაცვის ღონისძიებებისა და შემოთავაზებული დამცავი ღონისძიებების ეფექტურობის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია სადერივაციო-სადაწნეო მილსადენით მდინარის, შენაკადებისა და ხევების გადაკვეთის შესახებ (არსებობის შემთხვევაში), შესაბამისი საპროექტო გადაწყვეტების მითითებით;
- დეტალური ინფორმაცია ჰესის შენობის/ძალური კვანძის შესახებ, ძალური კვანძის შემადგენლობაში შემავალი ელემენტების დახასიათებით. მათ შორის: ჰიდროტურბინების დეტალური აღწერა, სიმძლავრის მითითებით (ამასთან, ნამუშევარ წყალში ზეთების შერევის რისკების შესახებ ინფორმაცია). ასევე, ინფორმაცია ჰესის შენობაში ავარიული ზეთშემკრები სისტემის მოწყობის შესახებ;
- ინფორმაცია ჰესის შენობიდან გამონამუშევარი წყლის მდინარეში ჩაშვების შესახებ, გამყვანი არხის პარამეტრების მითითებით და მდინარეში წყლის ჩაშვების GPS კოორდინატების მითითებით;
- ინფორმაცია საპროექტო ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის შეკრებისა და საერთო ქსელში ჩართვის შესახებ, მათ შორის: ინფორმაცია ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის გენერირების შესახებ. ვინაიდან ეგზ-ის გაყვანა დაგეგმილია დამოუკიდებელი პროექტის სახით, გზშ-ის ანგარიშში სათანადოდ უნდა იქნეს დასაბუთებული ეგზ-ის დამოუკიდებელი პროექტით გაყვანის გადაწყვეტილება, ან წარმოდგენილი უნდა იქნეს ეგზ-ის შესახებ დეტალური ინფორმაცია (ტიპი, პარამეტრები, სქემატური ნახაზები, shp ფაილები, გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედება და ა.შ.) და მისი მოწყობის შედეგად გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედების შეფასება;

- ინფორმაცია ჰიდროელექტროსადგურის საპროექტო ინფრასტრუქტურის მოწყობის ფარგლებში ფიზიკური/ეკონომიკური განსახლების შესახებ (არსებობის შემთხვევაში);
- დეტალური ინფორმაცია ძალური კვანძის უბანზე წყლის მაქსიმალური ხარჯების გავლისას დამყარებული დონეებისა და კალაპოტის გარეცხვის სავარაუდო სიღრმის, ასევე ტერიტორიის დაცვის საინჟინრო ღონისძიებების შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობის საჭიროების შესახებ - ნაგებობის ტიპის პარამეტრებისა და ეფექტურობის მითითებით. გზშ-ის ანგარიშში მითითებული უნდა იქნეს ნაპირსამაგრი ნაგებობების ტიპი, ტექნიკური პარამეტრები და ადგილმდებარეობები (GPS კოორდინატები და shp ფაილები), ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ინფორმაცია ბეტონის კვანძის შესახებ (მოწყობის შემთხვევაში), წარმადობის და ფიზიკური მახასიათებლების მითითებით;
- დეტალური ინფორმაცია ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე წყალმომარაგების და ჩამდინარე წყლების შესახებ. ინფორმაცია ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღების შესახებ (აღებული წყლის რაოდენობის, თვეების მიხედვით და წყალაღების წერტილის GPS კოორდინატების მითითებით);
- ინფორმაცია მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური და სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ;
- ინფორმაცია მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების რაოდენობისა და მართვის შესახებ, მათ შორის, დეტალური ინფორმაცია სამშენებლო ბანაკების ტერიტორიაზე ნავთობდამჭერი/გამწმენდი ნაგებობებისა და სალექარების (მოწყობის შემთხვევაში) შესახებ (ტიპები, განთავსების ადგილები, პარამეტრები, გაწმენდის ეფექტურობა). გამწმენდი ნაგებობის მოწყობის შემთხვევაში გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია წარმოქმნილი ლამის რაოდენობისა და შემდგომი მართვის ღონისძიებების შესახებ. ამასთან, **ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლების ჩაშვების შემთხვევაში, გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების (ზდჩ) პროექტი;**
- ინფორმაცია პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ავარიული სიტუაციების შესახებ, მართვის ღონისძიებების მითითებით;
- ინფორმაცია საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, საქმიანობის დაწყებამდე არსებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის ღონისძიებების შესახებ;

- ინფორმაცია გზმ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/საძიებო კვლევებისა და გზმ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდებისა და ლიტერატურის შესახებ;
- გზმ-ის ეტაპზე დოკუმენტის მომზადებისას გამოყენებული ნებისმიერი ლიტერატურის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამის ქვეთავში (მაგ. ბიბლიოგრაფია, გამოყენებული ლიტერატურა), სადაც მითითებული იქნება ინფორმაციის გავრცელების წყარო, ელ. ბმული ან/და ინფორმაცია წიგნის/ნაშრომის/სტატიის ავტორის, გამოცემის წელის, წიგნის/სტატიის დასახელებისა და გამოყენებული გვერდების შესახებ;
- პროექტის ფარგლებში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის, დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი და მუშაობის ხანგრძლივობა. ასევე, ინფორმაცია პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ;
- გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებისა და პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სოციალური პაკეტების შესახებ (არსებობის შემთხვევაში). ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია სკოპინგის ეტაპზე, საჯარო განხილვებზე გამოთქმული მოსაზრებების/შენიშვნების შეფასების და აღნიშნული კუთხით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ;

5.1 ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესახებ, კერძოდ:

- დეტალური ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოების შესახებ, შესაბამისი გეგმა-გრაფიკის და ვადების მითითებით;
- ინფორმაცია მშენებლობაში გამოსაყენებელი ტექნიკისა და რაოდენობის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის სამუშაოების/გრუნტის სამუშაოების და სარეკულტივაციო სამუშაოების შესახებ („ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის (საქართველოს მთავრობის 31/12/2013 წ. N424 დადგენილება) მოთხოვნათა დაცვით);
- ინფორმაცია ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობის, მისი განთავსების პირობებისა და ადგილმდებარეობების (GPS კოორდინატები, Shp ფაილები) შესახებ;
- მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ფუჭი ქანების რაოდენობა და მართვის საკითხები. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ფუჭი ქანების/გრუნტის განთავსების **მუდმივი/დროებითი ადგილების** (სანაყაროები) შესახებ დეტალური ინფორმაცია (სანაყაროს ფართობისა და GPS კოორდინატების (shp ფაილებთან ერთად) მითითებით (არსებობის შემთხვევაში)). დასაბუთებული უნდა იყოს სანაყარო(ებ)ის განთავსებისთვის შერჩეული ადგილ(ებ)ის გარემოსდაცვითი, სოციალური და ტექნიკური უპირატესობები. მათ შორის, **სანაყაროების შემთხვევაში**

გათვალისწინებული უნდა იყოს „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით და წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი აკრძალვები და მოთხოვნები;

- სანაყაროებისთვის ტერიტორიის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ასევე მოქმედი კანონმდებლობა, რომელიც სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე სანაყაროს მოწყობას არ ითვალისწინებს;
- ინფორმაცია ობიექტების მშენებლობისთვის საჭირო სამშენებლო მასალების მოპოვებისა და სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტის/ობიექტების მოწყობის შესახებ;
- ინფორმაცია მისასვლელი გზების და ხიდების მოწყობის შესახებ, საპროექტო გზების და ხიდების შესაბამისი პარამეტრებისა და მოწყობის სქემის მითითებით (შესაბამისი სქემატური ნახაზებითა და shp ფაილებით). ამასთან, მოცემული უნდა იყოს გზების და ხიდების მოწყობასთან დაკავშირებული გარემოზე ზემოქმედების საკითხები და შესაბამისი პრევენციული, საკომპენსაციო/შემარბილებელი ღონისძიებები;

5.2. ინფორმაცია სამშენებლო ბანაკის, შემადგენელი ობიექტებისა და განთავსების ადგილის შესახებ, მათ შორის:

- დეტალური ინფორმაცია სამშენებლო ბანაკ(ებ)ისა და სამშენებლო მოედნ(ებ)ის შესახებ. წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სამშენებლო ბანაკ(ებ)ის და მოედნ(ებ)ის დაზუსტებული ლოკაციები (shp ფაილების და GPS კოორდინატების მითითებით) და შერჩეული ტერიტორიების აღწერა. ამასთან, დასაბუთებული უნდა იყოს ბანაკ(ებ)ის და მოედნ(ებ)ის განთავსებისთვის შერჩეული ლოკაციის გარემოსდაცვითი და ტექნიკური უპირატესობები. მათ შორის, სამშენებლო ბანაკ(ებ)ის მოწყობის შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით და წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული აკრძალვები და მოთხოვნები;
- დაზუსტებული ინფორმაცია სამშენებლო ბანაკ(ებ)იდან/მოედნ(ებ)იდან უახლოეს მოსახლემდე მანძილის შესახებ;
- სამშენებლო ბანაკ(ებ)ის გენ-გეგმა, შესაბამისი ექსპლიკაციით;
- ინფორმაცია სამშენებლო ბანაკ(ებ)ის ფართობის, ასევე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის მომსახურებისთვის გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის ბანაკის ტერიტორიაზე განთავსების შესახებ;
- ინფორმაცია მშენებლობის დროს სამშენებლო ბანაკების და მოედნების ელექტროენერგიით მომარაგების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ სამშენებლო ბანაკებზე ელექტროენერგიის მიწოდებისთვის დაგეგმილია ეგხ-ის გაყვანა, წარმოდგენილი უნდა იქნეს ეგხ-ის შესახებ დეტალური ინფორმაცია (ტიპი, პარამეტრები, სქემატური ნახაზები, shp ფაილები, გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედება და ა.შ.);

- ინფორმაცია სამშენებლო ბანაკ(ებ)ზე და მოედნებზე საწვავის შესანახი რეზერვუარის ტიპის, ტევადობისა და განთავსების პირობების შესახებ;

5.3 გზშ-ის ეტაპზე წარმოსადგენი ჰიდროლოგიური ნაწილი უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

- ინფორმაცია მდ. სუფსასა და მისი შენაკადების ჰიდროლოგიური მახასიათებლების შესახებ. მათ შორის, ინფორმაცია მდ. სუფსასა და მისი შენაკადების საშუალო წლიური ხარჯების, ჩამონადენის შიდაწლიური განაწილების შესახებ;
- ინფორმაცია მდ. სუფსას აბსოლუტური მინიმალური და მაქსიმალური ხარჯების შესახებ;
- ინფორმაცია მდ. სუფსას მაქსიმალურ ჩამონადენზე, მინიმალურ ჩამონადენზე, მყარ ნატანზე;
- ინფორმაცია მდინარის სიგრძისა და სიგანის (როგორც საერთო, ისე საპროექტო კვეთში არსებული მონაკვეთი) შესახებ;
- ინფორმაცია საპროექტო არეალში (როგორც დამბის ზედა, ასევე მის ქვედა ბიეფში), მდ. სუფსას შენაკადების შესახებ, მანძილებისა და აღნიშნული შენაკადების მიერ გატარებული ხარჯის მითითებით;
- დეტალური ინფორმაცია ჰიდროელექტროსადგურის მიერ ასაღები წყლის რაოდენობებზე 10%, 50% და 90%-იანი უზრუნველყოფისთვის;
- ინფორმაცია წყალდიდობის/წყალმოვარდნების რისკების შესახებ;
- ინფორმაცია წყალდიდობის/წყალმოვარდნების რისკების შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ინფორმაცია სათავე კვანძის ქვედა ბიეფებში გასაშვები სავალდებულო ეკოლოგიური ხარჯის შესახებ (ეკოლოგიური ხარჯის გამოთვლისა და რაოდენობის მითითებით). მოცემული უნდა იყოს სათავე კვანძისთვის ეკოლოგიური ხარჯის მნიშვნელობებად მიღებული საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10%-ის დასაბუთება/განმარტება (რამდენად უზრუნველყოფს განსაზღვრული ეკოლოგიური ხარჯები მდინარის ბუნებრივი და ეკოლოგიური გარემოს შენარჩუნებას, მათ შორის წყალზე დამოკიდებული ბიომრავალფეროვნების კომპონენტების შენარჩუნებას) და საჭიროების შემთხვევაში ეკოლოგიური ხარჯის გაზრდის შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია პროექტის გავლენის ზონაში მოქცეული მდინარის მონაკვეთზე წყალმოსარგებლების შესახებ (არსებობის შემთხვევაში აღნიშნული ფაქტი გათვალისწინებული უნდა იქნეს სავალდებულო ეკოლოგიური ხარჯის გაანგარიშებაში);
- ინფორმაცია საპროექტო ჰიდროელექტროსადგურის ზედა და ქვედა ბიეფებში წყლის დონის მზომების (ჰიდროლოგიური საგუშაგოს) დაყენების, წყლის ხარჯების დადგენილი სიხშირით გაზომვის, დონეებსა და ხარჯებს შორის დამოკიდებულების

მრუდების აგების შესახებ. ასევე, ინფორმაცია ყოველდღიური დონეების და ხარჯების შესახებ ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენის შესახებ;

- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს მდ. სუფსას დონეებისა და ხარჯებს შორის დამოკიდებულების მრუდები სათავე და ძალური კვანძის ნაგებობების განთავსების ადგილებში;

5.4. გზშ-ის ანგარიშის გეოლოგიური ნაწილი უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა:

- რელიეფი (გეომორფოლოგია);
- გეოლოგიური აგებულება და ტექტონიკა;
- სეისმური პირობები;
- ჰიდროგეოლოგიური პირობები;
- საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) პირობების აღწერა, რომელიც თავის მხრივ უნდა მოიცავდეს ტერიტორიაზე არსებული საშიში გეოლოგიური პროცესების შეფასებასაც.

გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება:

- საშიში გეოლოგიური პროცესების შესაძლო გააქტიურების განსაზღვრა საპროექტო ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში, პრევენციული ღონისძიებების მითითებით (იდენტიფიცირებული პროცესები მოცემული უნდა იყოს კოორდინატებში).

5.5. გზშ-ის ანგარიშის ბიომრავალფეროვნების შეფასების ნაწილი უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს ბიომრავალფეროვნების დეტალური (დამატებითი) შესწავლა და მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. ბიოლოგიური კვლევის ფარგლებში ყურადღება უნდა გამახვილდეს პროექტის გავლენის ზონაში საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცულ სახეობებზე;
- სკოპინგის ანგარიშში მოცემულია შემდეგი ჩანაწერი: „სათავე კვანძების მშენებლობის და მდინარის კალაპოტში ჩასატარებელი სამუშაოების პროცესში საჭირო იქნება მდინარის დინების მიმართულების გარკვეული ხანგრძლივობით ცვლილება - ხელოვნურ კალაპოტში გადაადგება. აღნიშნულის შედეგად მდინარის ბუნებრივი კალაპოტის ცალკეულ, მცირე ფართობის უბნებში შესაძლოა ადგილი ჰქონდეს წყლის დაშრობას, მცირე ზომის გუბურების წარმოქმნას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს თევზების დახოცვა.“ ამასთან, პროექტის განხორციელებისთვის შერჩეულია

ალტერნატივა 2, რომელიც ითვალისწინებს ერთი სათავე კვანძის მოწყობას. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს;

- გზშ-ის ანგარიშში უნდა აისახოს ინფორმაცია ჰიდროელექტროსადგურისა და მისი მშენებლობისათვის საჭირო სხვა ინფრასტრუქტურის მოსაწყობად დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსაჭრელი ხე-მცენარეების ზუსტ მონაცემებზე, მათი სახეობების მიხედვით, რაოდენობისა და მოცულობის მითითებით (ე.წ ტყეკაფის უწყისი);
- ნეგატიური ზემოქმედებიდან გამომდინარე, უნდა განისაზღვროს საკომპენსაციო ღონისძიების მასშტაბი და წარმოებულ იქნას მდინარის დათევზიანება. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია დათევზიანების შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშში უნდა აისახოს ინფორმაცია ჩასატარებელი კვლევების თაობაზე, კერძოდ:
 - მშენებლობის პროცესში სეზონური იქთიოლოგიური კვლევების ჩატარებისა და შესაბამისი ანგარიშების წარმოდგენის საკითხი. კვლევებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იქთოფაუნის რაოდენობრივი მაჩვენებლების შეფასება/ანალიზს, რათა შემდგომში სრულყოფილად განისაზღვროს ჰესის ნეგატიური ზეგავლენის დონე. იქთოფაუნის რაოდენობრივი მაჩვენებლის გამოთვლა გულისხმობს თითოეული სახეობის თევზის რაოდენობის დაანგარიშებას ერთეულ ფართობზე, მდინარის სიგრძეზე მონაკვეთზე ან, ასევე, თითოეული სახეობის თევზისთვის თევზჭერის ძალისხმევის გამოთვლას (CPUE);
 - ექსპლუატაციის ეტაპზე: ოპერირების დაწყებიდან **პირველი 5 წლის განმავლობაში** ჩატარებული კვლევებისას წარმოდგენილი იქნას ზემოხსენებული მეთოდით განსაზღვრული რაოდენობრივი მაჩვენებლების შეფასება/ანალიზი (ზემოთ აღნიშნული პრინციპის დაცვით). გარდა ამისა, გზშ-ის ანგარიშში, ფონური მდგომარეობის ანალიზის მიზნით, იქთიოლოგიური მონიტორინგისათვის ასევე უნდა განისაზღვროს ზემოქმედების არეალს მიღმა არსებული საკონტროლო უბნები (იქთიოლოგიური კვლევები უნდა განხორციელდეს საპროექტო არეალს გარეთ არსებულ მონაკვეთებში);
 - ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ იგეგმება თევზსავალის მოწყობა, გათვალისწინებული უნდა იქნას თევზამრიდი ნაგებობის მშენებლობაც, რაც განპირობებულია „თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის“ მე-14 მუხლის მოთხოვნით. შესაბამისად, წარმოდგენილი იქნეს თევზსავალის და თევზამრიდი კონსტრუქციის დეტალური დახასიათება;
- ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:

- ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე. მათ შორის, ემისიები სამშენებლო ტექნიკისა და სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტის მუშაობისას, გაბნევის ანგარიშის მითითებით. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი/პრევენციული ღონისძიებები და მონიტორინგის საკითხები;
- პროექტის ფარგლებში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს არსებობის/მოწყობის შემთხვევაში გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;
- ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ზედაპირული წყლის ობიექტზე. მათ შორის, წარმოდგენილი უნდა იქნეს ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკების შეფასება. მდინარის კალაპოტში წყლის ხარჯის შემცირებითა და ჰიდროლოგიური რეჟიმის დარღვევით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება მდინარის ჰიდროლოგიურ, ჰიდრომორფოლოგიურ და კალაპოტურ პროცესებზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ინფორმაცია გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ გარემოზე (მათ შორის, მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე) მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, შემარბილებელი ან/და პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
- პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება მდინარის ნატანის მოძრაობაზე, მოსალოდნელი შედეგების ანალიზი და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- პროექტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება ბიომრავალფეროვნებაზე, განსაკუთრებით წყლის და წყალზე დამოკიდებულ სახეობებზე, შემარბილებელი/პრევენციული ან/და საკომპენსაციო ღონისძიებების მითითებით;
- ლანდშაფტის ვიზუალური ცვლილებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები;
- პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება კლიმატურ, მათ შორის, საპროექტო არეალის მიკროკლიმატურ პირობებზე, რეგიონში არსებული/საპროექტო ანალოგიური ტიპის ობიექტების გათვალისწინებით;

- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე (მათ შორის ინფორმაცია, პროექტის გავლენის ზონაში მოქცეული მიწის ნაკვეთების, კერძო საკუთრებების შესახებ), ბუნებრივი რესურსების შეზღუდვაზე. ამასთან, განისაზღვროს ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- შესაძლო პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- პროექტის ფარგლებში სატრანსპორტო გადაზიდვებით/სამშენებლო ტრანსპორტის გადაადგილებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების, მათ შორის, სატრანსპორტო ნაკადებზე მოსალოდნელი ზემოქმედების დეტალური შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. ზემოაღნიშნული ფაქტორებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს საკვლევ რეგიონში დაგეგმილი, მათ შორის ანალოგიური პროექტები;
- მონაცემები მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ნარჩენების სახეობების, რაოდენობის, სახიფათოობის მახასიათებლების შესახებ და შემდგომი მართვის ღონისძიებები, ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება გარემოზე;
- გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგებისა და მიღებული სარგებლის ურთიერთმეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში;
- საპროექტო ობიექტის მშენებლობითა და ექსპლუატაციით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების (დაგეგმილი ბეტონის კვანძის გათვალისწინებით) დეტალური შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს ბიოლოგიურ და წყლის გარემოზე), არსებული ან/და საპროექტო ჰიდროელექტროსადგურების გათვალისწინებით, შემარბილებელი და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებების მითითებით;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერა, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკების მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით;
- ობიექტის მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპებისთვის შემუშავებული შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე განსახორციელებელი გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა (შესაბამისი საკონტროლო წერტილების მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით);

საშუალო მრავალწლიური ხარჯის რამდენ %-ს შეადგენს ეკოლოგიური ხარჯი													
--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

ცხრილი 2. თვიური და წლიური ხარჯების სიდიდეები 10%, 50%, 75% და 95%

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წელი
საშ													
მაქს													
მინ													
10%													
50%													
75%													
95%													

7. საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ცნობით, წარმოდგენილი მთლიანი ჰესის (დერეფანი, ჰესის შენობა, მაქსიმალური შეტბორვა, ნორმალური შეტბორვა და სათავე ნაგებობა) 85197 კვ.მ ფართობიდან (Shp-ფაილი), „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 84060 კვ.მ მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში. კერძოდ, კერძოდ: ჩოხატაურის სატყეო უბნის ზემო სურების

სატყეოს კვარტალი N6, 17, 18, 19, 20, 29, 81, 82, 85. ამასთან, წარმოდგენილი ფუჭი ქანების სანაყაროსთვის წარმოდგენილი 5 ზონის კოორდინატები (X-294616, Y-4647460; X-294734, Y-4647220; X-296474, Y-4645210; X-295609, Y-4646210; X-293411; Y-4647070) წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს. ასევე გაცნობებთ, რომ სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე სანაყაროების მოწყობას, გარდა წიაღის მოპოვებისა, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით (თავი XIV) განსაზღვრული საქმიანობა (საქმიანობისთვის საჭირო წარმოსადგენი დოკუმენტაცია იხ. დანართი N1) ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, სკოპინგის ანგარიშში არ არის მოცემული ინფორმაცია აღნიშნულ ტერიტორიებზე სპეციალური ტყითსარგებლობის ან/და ტყიდან ამორიცხვის შესახებ. შესაბამისად, განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მოპოვების შემთხვევაში, საქმიანობის განმახორციელებელმა გზშ-ის ანგარიშთან ერთად უნდა წარმოადგინოს საქართველოს ტყის კოდექსით განსაზღვრული სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოს მოსაზრება. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დაგეგმილია ტყის სტატუსის შეწყვეტის უფლების მოპოვება, გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს ტყის სტატუსის შეწყვეტისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები. ტყის სტატუსის შეწყვეტა რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2021 წლის 06 ოქტომბრის №496 დადგენილებით „ტყის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და ტყის საზღვრების დადგენისა და კორექტირების/შეცვლის შესახებ“;

- გარდა ამისა, სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვაზე დაგეგმილი საქმიანობის პრეზენტაციის ფარგლებში მოცემული იქნა ფუჭი ქანების სანაყაროს არა 5, არამედ 4 სავარაუდო ტერიტორია (განთავსების GPS კოორდინატები: X-294079, Y-4647450; X-294638, Y-4647480; X-295813, Y-4645740; X-293771, Y-4647280), რომლებიც განსხვავდება სააგენტოში წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოცემული ტერიტორიებისგან. შესაბამისად, გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს სანაყაროების განთავსების ადგილმდებარეობა (მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, რომელიც სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე სანაყაროს მოწყობას არ ითვალისწინებს), რაც იდენტური უნდა იყოს როგორც გზშ-ის ანგარიშში, ასევე თანდართულ დოკუმენტაციაში და საჯარო განხილვაზე წარსადგენ ინფორმაციაში/პრეზენტაციაში;
- სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ცნობით, „სურები 2“ ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის საპროექტო ტერიტორია, თანდართული დოკუმენტაციისა და სააგენტოში არსებული ინფორმაციის საფუძველზე, ნაწილობრივ შედის ზოტის მადნიანი ველის (ოქრო, პოლიმეტალები) კონტურში. „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს

წარმოდგენილი პროექტი, იმ პირობით, თუ მომავალში მიმდებარე ტერიტორიებზე არ შეიზღუდება სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესაძლებლობა. შესაბამისად, აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშის წარმოდგენამდე, ხოლო ანგარიშს თან უნდა ახლდეს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოსთან კომუნიკაციის/შეთანხმების ამსახველი დოკუმენტაცია;

- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ დაგეგმილია სამშენებლო ბანაკებისა და სამშენებლო მოედნების მოწყობა, რომელთა ადგილმდებარეობა მითითებულია მხოლოდ სქემატურ ნახაზებზე (ნახაზი 2.4.1.1 და ნახაზი 2.4.2.1.) და არ იდენტიფიცირდება Shp ფაილებში. აღნიშნული საკითხი გზშ-ის ეტაპზე საჭიროებს კორექტირებას. გარდა ამისა, ამავე ადგილმდებარეობებს სხვა სქემატურ ნახაზებზე განსხვავებული აღნიშვნები აქვთ (მაგ. ნახაზი 2.1.1.), რაც გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას/კორექტირებას საჭიროებს ;
- წარმოდგენილი უნდა იყოს საჯარო განხილვაზე გამოთქმული, ასევე სააგენტოში ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე წარმოდგენილი შენიშვნების/მოსაზრებების გათვალისწინების შესახებ დეტალური და დასაბუთებული ინფორმაცია, ცხრილის სახით;
- სკოპინგის ანგარიშსა და Shp ფაილებში არ არის მოცემული ინფორმაცია შეტბორვის არეალის შესახებ (შეტბორილი წყლის მოცულობა, სარკის ზედაპირის ფართობი). შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში (Shp ფაილებითა და სქემატურ ნახაზზე ჩვენებით). გარდა ამისა, წარმოდგენილი „satave“ Shp ფაილი მოიცავს სათავე ნაგებობის, მისასვლელი გზების, სამშენებლო ბანაკის/მოედნის (სქემატური ნახაზის მიხედვით) და სხვა ტერიტორიებს. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს სათავე კვანძის და შეტბორვის არეალის შესახებ (მათ შორის, განთავსების) ინფორმაცია (დაზუსტებული Shp ფაილების მითითებით);
- მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დადგინდა, რომ სადაწნეო მილსადენი კვეთს კერძო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს. გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნეს მიწის ნაკვეთის მესაკუთრესთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ამასთან გაცნობებთ, რომ „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების გარეშე მისი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება დაუშვებელია;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილია ნაპირდამცავი ნაგებობების და დაბალზღურბლიანი დამბის (სათავე ნაგებობაზე) მოწყობა. გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია დაბალზღურბლიანი დამბის მოწყობის შესახებ, ფიზიკური მახასიათებლების მითითებით (სიმაღლე, სიგრძე, სიგანე, Shp ფაილებზე და სიტუაციურ სქემაზე ჩვენებით);

- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის შესახებ, რაც გზშ-ის ეტაპზე უნდა დაზუსტდეს;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, „სანიტარული ხარჯის ნაწილი გაივლის თევზსავლის მემწეობით თუმცა თევზსავლის ექსპლუატაციის დროს ტექნიკური მომსახურების გაწევისას ან/და იმ შემთხვევაში, თუ ზედა ბიეფში წყლის დონე იქნება თევზსავლის წყალმიმღებზე დაბლა, სანიტარული წყლის მთლიანად გატარება უნდა უზრუნველყოს აღნიშნულმა მილმა“. თუმცა არ არის მოცემული ინფორმაცია, თუ რომელი მილი იგულისხმება აღნიშნულ ჩანაწერში, რაც გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს;
- სკოპინგის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია კაშხლის აშენების შედეგად დატბორილი ფართობის შესახებ. ასევე არ არის დაზუსტებული შეტბორვის დონე და მდინარის წყალმცირობის და წყალდიდობის პერიოდში შეტბორვის დონეებს შორის სხვაობა. აგრეთვე, წყალმოვარდნის შემთხვევაში წყლის დონის დარეგულირების მექანიზმები. აღნიშნული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას, ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების დეტალურ შეფასებას და გზშ-ის ანგარიშში ასახვას, სათანადო პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია ბეტონის კვანძის მოწყობა, თუმცა არ არის მოცემული ინფორმაცია მისი განთავსების ადგილმდებარეობისა და ფიზიკური მახასიათებლების შესახებ. ამასთან, ნახაზზე 2.4.3.1. მოცემულია ბეტონის ქარხნის სავარაუდო ადგილმდებარეობის და საჭირო ინფრასტრუქტურის სქემა, რომლითაც ვერ იდენტიფიცირდება ბეტონის კვანძისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის განთავსების ადგილმდებარეობა. შესაბამისად, გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია ყველა დამხმარე ინფრასტრუქტურული ობიექტის, მათ შორის, ბეტონის კვანძის მოწყობა-ექსპლუატაციისა და მისი განთავსების ადგილმდებარეობის შესახებ (Shp ფაილებსა და სქემატურ ნახაზებზე ჩვენებით);
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ დაგეგმილია საფეხურებიანი აუზის ტიპის თევზსავალი ნაგებობის მოწყობა, თუმცა არ არის მოცემული ინფორმაცია საფეხურების რაოდენობისა და თევზსავალი ნაგებობის მახასიათებლების შესახებ, რაც გზშ-ის ანგარიშში უნდა დაზუსტდეს;
- სკოპინგის ანგარიშში მოცემული ზოგიერთი სქემატური ნახაზის ექსპლიკაცია არ არის წარმოდგენილი ქართულ ენაზე, რაც საჭიროებს კორექტირებას;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ჰესის მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერჯის შემდგომი გენერირების მიზნით, ძალური კვანძის ტერიტორიაზე დაგეგმილია 35 კვ ძაბვის ქვესადგურის/სატრანსფორმატოროს და 8 კმ სიგრძის, 35 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობა და ექსპლუატაცია, რომელიც განხორციელდება დამოუკიდებელი პროექტის სახით. ვინაიდან, ზემოაღნიშნული ინფრასტრუქტურის მოწყობა დაგეგმილია უშუალოდ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, აღნიშნული

ასევე გათვალისწინებული უნდა იქნას გარემოზე კუმულაციური ზემოქმედების შეფასებაში;

- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, მდინარის ეკოლოგიური ხარჯი ტოლია წყალაღების კვეთში მდინარის საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10%-ის და შეადგენს 0.36 მ³/წმ-ს. თუმცა, სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვაზე კომპანიის გარემოსდაცვითმა კონსულტანტმა აღნიშნა, რომ ეკოლოგიური ხარჯი შეადგენს 0.36 მ³/წმ და მდინარის საერთო ჩამონადენის 30% მუდმივად იქნება კალაპოტში. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ეკოლოგიური ხარჯი და მისი გაანგარიშების საკითხი;
- გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია საქართველოს მთავრობის 2021 წლის 9 ივნისის N274 დადგენილებით დამტკიცებული „ცხოველების ჯილეხთან ბრძოლის პროფილაქტიკური საკარანტინო წესით“ განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის შესახებ;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთვის - გზმ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა;

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული საკითხის გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ მიერ წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ითვალისწინებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზემო სურებში, მდინარე სუფსაზე, 15 მგვტ დადგმული სიმძლავრის „სურები 2 ჰესის“ მშენებლობას და ექსპლუატაციას, **სავალდებულოა გზმ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი, შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზმ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის, განსაკუთრებით, სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.